

## შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო

ამ კატეგორიაში წარდგენილი თითოეული განაცხადი შეფასდება 10 კრიტერიუმის მიხედვით: აქედან 8 კრიტერიუმი უკავშირდება პროექტს, ხოლო 2 - კომპანიის ზოგად პოლიტიკას და საქმიანობას მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან და კლიენტებთან მიმართებით. **ყოურის წევრებს თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმუმ 10 ქულის მინიჭება შეუძლიათ.**

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
<b>პროექტთან დაკავშირებული კრიტერიუმები - ჯამური ქულის მაქსიმუმ 80%</b>		
<i>დაგეგმვა</i>		
1. პრობლემის სწორად იდენტიფიცირება	პროექტი/ინიციატივა შეესაბამება სამიზნე ჯგუფის რეალურ საჭიროებებს, რომლებიც გამოვლინდა თანამონაწილეობითი პროცესის მეშვეობით.	0-10 ქულა
2. მართებული სტრატეგია/გადაწყვეტა	პრობლემის გადასაწყვეტად შეირჩა ეფექტიანი სტრატეგია.	0-10 ქულა
<i>განხორციელება</i>		
3. ყოვლისმომცველი მიდგომა და აქტივობები	განხორციელებულია ეფექტიანი და მრავალფეროვანი აქტივობები; სახეზეა კომპლექსური მიდგომა ინვესტირებული რესურსებისა და გამოყენებული სტრატეგიების თვალსაზრისით, თანმიმდევრული ძალისხმევა.	0-10 ქულა
4. მართვა	პროექტის მართვა გამართული და ეფექტიანია; კომპანია ატარებს საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას, ზრუნავს გაუმჯობესებაზე.	0-10 ქულა
5. ჩართულობა და კომუნიკაცია	მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან იმართება კონსულტაციები და ისინი პროცესში არიან ჩართული; კომპანია ახდენს პროექტის შესახებ კომუნიკაციას.	0-10 ქულა
<i>შედეგები და ზეგავლენა</i>		
6. შედეგები და ზეგავლენა	განაცხადში ნათლად არის წარმოჩენილი ის შედეგები და სიკეთე, რაც მიიღო მიზნობრივმა ჯგუფმა; შესაძლებელია შედეგებისა და ზეგავლენის გაზომვა და დასაბუთება.	0-10 ქულა
7. პროექტის შედეგების მდგრადობა	პროექტის შედეგები მდგრადია და გრძელვადიანად შენარჩუნდება; წარმოდგენილი განაცხადი ნათლად აჩვენებს, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.	0-10 ქულა

8. განვითარების პოტენციალი	პროექტს აქვს განვითარებისა და გაფართოების პოტენციალი. კომპანიას კონკრეტული სამომავლო გეგმები აქვს პროექტთან ან სამიზნე პრობლემასთან დაკავშირებით.	0-10 ქულა
<b>ზოგადი სტრატეგია და მისი შესრულება - ჯამური ქულის მაქსიმუმ 20%</b>		
9. ზოგადი პოლიტიკა და სტრატეგია მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, და სხვა პარტნიორებთან მიმართებით	კომპანიას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული პოლიტიკა ბაზარზე კეთილსინდისიერ საქმიანობასთან დაკავშირებით; ამ პოლიტიკის ფოკუს-სფეროები და ძირითადი თემები რელევანტურადაა განსაზღვრული.	0-10 ქულა
10. საერთო მიღწევები და განხორციელებული ინიციატივები	კომპანიის ინიციატივები და საქმიანობა მიზნად ისახავს მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან და სხვა ბიზნესპარტნიორებთან კეთილსინდისიერი ურთიერთობისა და ბიზნეს-ეთიკის დამკვიდრებას; ამ სფეროში დანერგილი აქვს მართვის ეფექტიანი სისტემები; მიღწეული აქვს კონკრეტული შედეგები.	0-10 ქულა

<b>ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები</b>			
<b>0-2 ქულა:</b>	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	<b>5-7 ქულა</b>	საკმაოდ კარგი
<b>3-4 ქულა:</b>	საშუალო	<b>8-10 ქულა</b>	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით

**შენიშვნა:** შეფასებისას გათვალისწინებული იქნება კომპანიის ზომა. საქმიანობისა და შედეგების მასშტაბი შეფასდება კომპანიის ზომასთან შეფარდებით.